



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
 მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია  
 GEORGIA  
 MTSKHETA MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ34.342211765

თარიღი:27/04/2022

**მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს შექმნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #59 დადგენილებით დამტკიცებული, ტექნიკური რეგლამენტის - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ მე-16 მუხლის, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 მარტის #12 დადგენილებით დამტკიცებული „მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:**

1. შეიქმნას მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) საბჭოს თავმჯდომარე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი, **დიმიტრი ზურაბიშვილი;**

ბ) საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **გიორგი ელოშვილი;**

გ) საბჭოს მდივანი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **ანა მამაგვიშვილი;**

**დ) საბჭოს წევრები:**

- **დიმიტრი ხუნდაძე**-საქართველოს პარლამენტის დეპუტატი;

- **გივი გიუტაშვილი** - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

- **თამაზ ფოლოდაშვილი** - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

- **გიორგი ბაჯაძე**-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ;

- **მიხეილ ბუჯიაშვილი** - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

- **გელა ბაქრაძე** - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე

- **ნუგზარ ხუხუნაიშვილი** - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

- **ეთერი გელაშვილი** - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის განყოფილების მეორადი

სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

-რევაზ მამულაშვილი - ა(ა)იპ „მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის“ დირექტორი;

-- ლევან ელიაშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი.

## 2. საზოგადოების წარმომადგენლები და შესაბამისი დარგის სპეციალისტები:

**ფირანი კირვალიძე** - შპს „კადასტრიXXI“-ის დირექტორი, კადასტრის ექსპერტი;

**შალვა ალავერდაშვილი** - სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის დამფუძნებელი, ტურიზმის ექსპერტი;

**ავთანდილ ნემსიწვერიძე** - მცხეთის სამედიცინო ცენტრის ექიმი-პედიატრი.

**თამარ მაისურაძე** - ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის მცხეთა-მთიანეთის კოორდინატორი;

3.ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს შექმნის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 20 მარტის #ს-575 ბრძანება.

4.ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

დირექტორი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

